



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა  
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი

2022 წლის 28 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

2022

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	(აკრედიტაცია გავლილი აქვს შემდეგი კოდით - 02)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული (გადაწყვეტილების ნომერი - 55 გადაწყვეტილების თარიღი - 28 სექტემბერი 2018 წ.)

<sup>1</sup> ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის მიხედვით. თუმცა აღნიშნული პროგრამის შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობდა ძველი სტანდარტებით და ძველი სტანდარტებით აქვს მიღებული პროგრამას აკრედიტაცია, რაც საჭიროებს ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მისანიჭებელი კვალიფიკაციით, მოიცავს 240 კრედიტს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია „შეასწავლოს ბიზნესის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი მათემატიკური აპარატი. ძირითადი ეკონომიკური ცნებები, კონცეფციები, თეორიები და რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ხერხები და გზები; ფინანსური ინსტიტუტების, ბიზნეს სუბიექტების ფინანსური განყოფილებების და ბაზრების მართვის პროცესში გამოყენებული ძირითადი პრინციპები, კონცეფციები და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ხერხები; ფინანსური ინსტიტუტების, ბიზნეს სუბიექტების ფინანსური განყოფილებების და ბაზრების მართვის პროცესში გამოყენებული ძირითადი პრინციპები, კონცეფციები და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ხერხები; მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებლიანი ლიდერები.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 28 ივნისს. ვიზიტამდე, 25 ივნისს გაიმართა წინა მოსამზადებელი შეხვედრა, შეხვედრას ესწრობოდნენ დავით სიხარულიძე, ილია ბოცვაძე. პირველი, მეორე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. საზღვაო აკადემიაში სამუშაო ვიზიტი დაიწყო 27 ივნისს დაიწყო 10:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით შედგა შეხვედრა/გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ

და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ვიზიტი განხორციელდა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ბრძანებით (MES 5 22 0000628037, 12/06/2022) სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ. მონიტორინგი განხორციელდა მოქალაქის განცხადების საფუძველზე, რომლიც ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შინაარსსა და სასწავლო კურსებს ეხებოდა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტების მიერ შეფასდა პირველი, მეორე და მესამე სტანდარტი.

- პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### ▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია მოხდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გაუმჯობესება ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით.
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ სტანდარტებთან და გათვალისწინებულ იქნას მისანიჭებელი კვალიფიკაცია.
- რეკომენდებულია მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის.

#### ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია „შეასწავლოს ბიზნესის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი მათემატიკური აპარატი. ძირითადი ეკონომიკური ცნებები, კონცეფციები, თეორიები და რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ხერხები და გზები; ფინანსური ინსტიტუტების, ბიზნეს სუბიექტების ფინანსური განყოფილებების და ბაზრების მართვის პროცესში გამოყენებული ძირითადი პრინციპები, კონცეფციები და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ხერხები; ფინანსური ინსტიტუტების, ბიზნეს სუბიექტების ფინანსური განყოფილებების და ბაზრების მართვის პროცესში გამოყენებული ძირითადი პრინციპები, კონცეფციები და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ხერხები; მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებლიანი ლიდერები, რომელთაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მაღალი ეთიკური ნორმები და შეეძლებათ საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარდგენა და მათი ლოგიკურად დასაბუთება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;

მიზანი არის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; კერძოდ კურსდამთავრებული მიიღებს ეკონომიკის, ბიზნესის კონცეფციების და თეორიების ფართო ცოდნას და აღჭურვება ისეთი უნარებით როგორცაა კომუნიკაციის, თავისი მოსაზრების ლოგიკური დასაბუთების, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის უნარით და მაღალი ეთიკური ნორმებით.

მიზნები არის დაწესებულების მისიასთან თანხვედრაში. კერძოდ „საზღვაო აკადემიის მისიაა:

- „შეასრულოს საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების, კვლევების განხორციელების და ცოდნის საზოგადოებაში გავრცელების საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია;
- უზრუნველყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კვლევის უნარებით აღჭურვილი პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების მომზადება თანამედროვე

<p>სტანდარტების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და უწყვეტი განათლების საწვრთნელი კურსების საფუძველზე;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იხელმძღვანელოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებით და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება;</li> <li>• გაზარდოს საკუთარი სასწავლო და კვლევითი პოტენციალი საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო და დამსაქმებელ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების გზით</li> </ul> <p>დაწესებულებისათვის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. კერძოდ ინტერნაციონალიზაციის საკითხები მოცემულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში. (განვითარების სტრატეგიული გეგმა 2020 - 2024 გვ. 14). საგანმანათლებლო პროგრამები საჯაროდ ხელმისაწვდომია, განთავსებული უსდ-ს ვებ გვერდზე.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ განვითარების სტრატეგიული გეგმა 2020 – 2024;</li> <li>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები;</li> <li>○ უსდ-ს ვებ-გვერდი.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამაში მოცემულია 30-ზე მეტი სწავლის შედეგი და კლასიფიცირებულია შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულია აქტიური ზმნები. ცოდნა და გაცნობიერების ფარგლებში ფორმულირებულ სწავლის შედეგებში ეხება ბიზნესის და ეკონომიკის სფეროში მიღებულ ცოდნას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სამი კონცენტრაცია: „საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოგისტიკა“, „ნავსადგურის მენეჯმენტი“ და „საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი“.

სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის მიზნებთან და შეესაბამება სფეროს სპეციფიკას.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამა ძველი სტანდარტებით არის მომზადებული, დაწესებულებამ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები უნდა მოიყვანოს ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში. კერძოდ სწავლის შედეგების ოპტიმალური რაოდენობა სასურველია იყოს მაქსიმუმ 10.

ასევე, უნდა შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, განისაზღვროს სწავლის შედეგების შემფასებლები და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების პერიოდულობა. განისაზღვროს შეფასების ფორმები და მეთოდები, სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის გეგმა და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებიდან გაირკვა, რომ დაწესებულება გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებას და განახლებას ახალი კვალიფიკაციის მიხედვით. კერძოდ დაწესებულებას დაწყებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემუშავება „ნავსადგურის მენეჯმენტისა“ და „ლოგისტიკის“ კონცენტრაციით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია იქნება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი. აღნიშნული პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენა იგეგმება 2024 წელს.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები.

### რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მოხდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გაუმჯობესება ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით.



<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>✓</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

საგანმანათლებლო პროგრამაში ვკითხულობთ, რომ „მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბიზნესის ადმინისტრირება“ დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბიზნესის ადმინისტრირება“ სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს 3 გამოცდა პრიორიტეტული რიგითა და რანჟირების კოეფიციენტებით:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. ინგლისური ენა;
3. ისტორია ან მათემატიკა.

აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და განთავსებული დაწესებულების ვებ გვერდზე.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა პროგრამა;
- დაწესებულების ვებ გვერდი <https://bsma.edu.ge/>

### რეკომენდაციები:

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენს მოქალაქის მიერ წარმოდგენილი განცხადება. განცხადებაში საუბარია ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის პროგრამის სტრუქტურაზე. კერძოდ განცხადებაში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

1. განცხადების ავტორი აღნიშნავს, თუ „რატომ არის ოპერაციათა მენეჯმენტი ძირითად სასწავლო კურსების მოდულში, ხოლო სტრატეგიული მენეჯმენტი არჩევითში? გარდა ამისა განცხადების ავტორი აღნიშნავს, რომ მე-6 სემესტრამდე რატომ არ გახსენდებათ პროგრამის ავტორებს ეს საგანი, რომელიც საფუძველებს ეხება? ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში, რომლის სახელწოდებაცაა ტურიზმი - საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი არსად არ ფიგურირებს ამავე სახელწოდების საგანი, არც საზღვაო ტურიზმის საფუძველები და არც საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი. განცხადების ავტორი ასევე ეხება ისეთ სასწავლო კურსს როგორცაა „რისკების მართვა და დაზღვევა“. იგი აღნიშნავს, რომ აღნიშნული საგანი ამ საფეხურზე რატომ ჩასვეს? რით ასაბუთებენ? რომელი რისკების მართვა და დაზღვევა? საზღვაო ტურიზმში თუ საერთოდ?“
2. განცხადების ავტორი ასევე საუბრობს პროგრამის არჩევით კომპონენტებზე. ის სვამს კითხვას თუ რა კავშირშია შემდეგი სასწავლო კურსები „ფასწარმოქმნა ტრანსპორტირებაზე“, კორპორაციული ფინანსები, ნაოსნობის ეკონომიკა და მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამასთან.

განცხადების ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა საბაკალავრო პროგრამა და ჩამოაყალიბა შემდეგი მოსაზრება:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის მიხედვით, თუმცა ძველი სტანდარტებით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მისანიჭებელი კვალიფიკაციით, მოიცავს 240 კრედიტს.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სამ კონცენტრაციას: მენეჯმენტი - საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა; მენეჯმენტი - ნავსადგურის მენეჯმენტი; ტურიზმი - საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი.

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უცხო ენის (ინგლისური ენის) შესწავლას. პროგრამაში უცხო ენის შესწავლას ეთმობა 30 ECTS კრედიტი.

პროგრამის ფარგლებში ისწავლება შემდეგი ძირითადი საგნები: ბიზნესის

ადმინისტრირების საფუძვლები 1-2, მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, სამეწარმეო სამართალი, ფინანსური აღრიცხვა, ბიზნეს ინგლისური 1.1, 1.2, 2.1, 2.2, მაკროეკონომიკა, მენეჯმენტის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, მარკეტინგი 1-2, მმართველობითი აღრიცხვა, სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის, ლოჯისტიკის მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები, რისკების მართვა და დაზღვევა, პროექტების მენეჯმენტი, პროფესიული პრაქტიკა.

სასწავლო კურსი „ოპერაციათა მენეჯმენტი“ ნამდვილად ისწავლება მეექვსე სემესტრში, თუმცა წინაპირობა დაცულია. აღნიშნული საგნის მეექვსე სემესტრში სწავლება არანაირ პრობლემას არ ქმნის სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით. ოპერაციათა მენეჯმენტის წინაპირობაა მენეჯმენტის საფუძვლები.

სასწავლო კურსები „ფასწარმოქმნა ტრანსპორტირებაზე“, „კორპორაციული ფინანსები“, „ნაოსნობის ეკონომიკა და მენეჯმენტი“ წარმოადგენს არჩევით სასწავლო კურსებს, თუმცა ეს ხელს არ უშლის პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევას.

ძირითადი საგნების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამა წარმოდგენილია ბიზნესის სფეროს ყველა მიმართულების (მენეჯმენტი, მარკეტინგი და ფინანსები) საგნებით. შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას.

თუმცა, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა იყოს შესაბამისობაში აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან, კერძოდ უნდა იყოს გათვალისწინებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 6 მუხლი, ხოლო პროგრამის ფარგლებში კონცენტრაციის მომზადებისას მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- ვებგვერდი -<https://bsma.edu.ge/>;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ სტანდარტებთან და გათვალისწინებულ იქნას მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

✓
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul> <p>განცხადებაში ავტორი შემდეგი სასწავლო კურსების „ფასწარმოქმნა ტრანსპორტზე“ და „ნაოსნობის ეკონომიკას და მენეჯმენტს“ შინაარსს განიხილავს. კერძოდ სასწავლო კურსთან „ფასწარმოქმნა ტრანსპორტზე“ მიმართებით სვამს კითხვას: რომელ ტრანსპორტზე? ამ საგანს ამ სახით რა კავშირი აქვს მოცემულ პროგრამასთან? ასევე განცხადების ავტორი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსი „ნაოსნობის ეკონომიკა და მენეჯმენტი“ აღნიშნულ პროგრამასთან არ არის შესაბამისობაში. ის აღნიშნავს, რომ ნაოსნობა სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავს და ნუთუ ნაოსნობის ერთი სახეობა არსებობს?</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საგნები არის არჩევითი, არ აფერხებს პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>მთლიანობაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.</p>
---

სასწავლო კურსების სილაბუსებში-ლიტერატურაში მითითებული წყაროებია ქართველი და უცხოელი ავტორების სახელმძღვანელოები. ქართულად ნათარგმნი უცხოური წიგნების სიმწირიდან გამომდინარე სასწავლო კურსების ავტორების მიერ მომზადებულია ქართულენოვანი რიდერები, რაც ატვირთულია ბიბლიოთეკაში ელექტრონულ მატარებელზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- 

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზღვაო აკადემია ყოველწლიურად აწყობს კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, ინტერესების მიხედვით, მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში.

აღსანიშნავია, რომ საზღვაო აკადემიაში შექმნილია საზღვაო კვლევების და ინოვაციების ცენტრი. სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის ამაღლების მიზნით ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. ერთ-ერთი აქტივობაა საზღვაო აკადემიაში სტუდენტების მიერ წარდგენილი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება და აკადემიის მიზნების შესაბამისი პროექტებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების ხარჯვა, რეგულირდება სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურის შესაბამისად.

სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით შემუშავებულია „სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“, „საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი“ და გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი“.

ამას გარდა, პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით აკადემია თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სასწავლო უნივერსიტეტებთან, ბიზნეს სექტორთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო დამსაქმებლებთან, პრაქტიკის ობიექტებთან. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება, კერძოდ უმრავლეს შემთხვევებში არ არის მითითებული სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გაფორმებული მემორანდუმები;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო პროგრამა;
- „საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი“: <https://bsma.edu.ge/media/files/6916ed83-ea72-436e-b60b-5f22a3c73b01.pdf>
- „სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“ <https://bsma.edu.ge/media/files/7b4efae3-5673-4b05-bb1e-dec6c52b9396.pdf>
- „სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურა“: <https://bsma.edu.ge/media/files/a923bb64-9a9f-4940-aaa9-3acfb48a9d91.pdf>
- „გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი“ <https://bsma.edu.ge/media/files/732ce87b-dd6a-49f0-be17-d8e947dafa05.pdf>

#### რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> <li>რეკომენდებულია მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.</li> </ul>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>  ✓
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>  ○
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>  ○
<b>შეფასება</b>  <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<h3 style="color: blue;">2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</h3>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის შინაარსს. სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდები და აქტივობები არის მრავალფეროვანი, როგორცაა: ლექცია, სემინარი, ინტერაქციული ლექცია, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და ა.შ. პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, რაც აღინიშნა სტუდენტების მიერ ინტერვიუს პროცესში.</p>



<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო პროგრამა</li> <li>○ სასწავლო კურსების სილაბუსები</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul> <p><b>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტუდენტთა შეფასება ხდება თანმიმდევრულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით.</p>

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა. სტუდენტის საბოლოო შეფასება მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა წილიც საბოლოო შეფასებაში შეადგენს 45/15/40%-ს. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებს და შეფასების სხვა კომპონენტს, რომელიც შეირჩევა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან.

საგამოცდო ნაშრომების შესწორებისას სტუდენტის სახელი და გვარი დაშიფრულია ნაშრომზე რაც გამსწორებელს/ლექტორს არ აძლევს საშუალებას დააიდენტიფიციროს თუ ვის ნაშრომს ასწორებს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებულია დოკუმენტი „გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა“, მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული შედეგების ელექტრონულ სისტემაში, „ელექტრონულ ჟურნალში (students.bsma.edu.ge)“-ში ასახვის პერიოდი. აღსანიშნავია რომ უკუკავშირის სისტემა მეტად დახვეწილია აღნიშნულ პროგრამაზე ლექტორის მიერ შესწორებულ ნაშრომს თავისი კომენტარებით სტუდენტი ელექტრონულ ჟურნალში ხედავს.

სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური ან/და დასკვნითი შეფასებები შედეგის გაცნობიდან 48 საათის ვადაში, სტუდენტი უფლებამოსილია გააკეთოს სააპელაციო განაცხადი - დასაბუთებული საჩივარი, ნაშრომის კომისიური წესით განხილვის მიზნით. ამ შემთხვევაში განაცხადი იწერება აკადემიის კანცელარიაში.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია მარეგულირებელ წესსა და სილაბუსებში, რაც ნიშნავს იმას რომ სტუდენტები წინასწარ ინფორმირებული არიან თუ როგორ მოხდება მათი შეფასება სასწავლო კურსის ფარგლებში. ინგლისურის სილაბუსში მითითებული იყო ზეპირი გამოცდა, დისციპლინის ხელმძღვანელთან დავაზუსტეთ, რომ აღნიშნული უკავშირდება ვერბალური უნარების გაუმჯობესებას, აუცილებელია და დანერგილი ეფექტიანი პრაქტიკა აქვთ წლების მანძილზე.

